ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

„სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან“ სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსათვის გარკვეული ინფორმაციის მიწოდების თაობაზე

ქ. თბილისი 9 აგვისტო 2017 წელი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში – „სამინისტრო“), წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის, **ზაზა სოფრომაძის** სახით, სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო (**შემდგომში – „სააგენტო”**), წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის, **კობა სონღულაშვილის** სახით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (**შემდგომში – „ინოვაციების სააგენტო“**), წარმოდგენილი თავმჯდომარის, **გიორგი ზვიადაძის** სახით და სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო (**შემდგომში – „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“**), წარმოდგენილი მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელის, **ნიკოლოზ გაგნიძის** სახით, შემდგომში, ერთობლივად, მხარეებად წოდებულნი,

ვხელმძღვანელობთ რა, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ და „თ“ ქვეპუნქტების, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის N126 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესი“-ს პირველი მუხლის მე-2 პუნქტით და მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2014 წლის 5 მარტის N1-1/66 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს დებულების“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის, და სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს 2017 წლის 23 მარტის N02/227 (N31129, 27.03.2017 წ.) წერილის გათვალისწინებით, ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების მიზანი და საგანი

1. „ინოვაციების სააგენტოს“ მიერ „სააგენტოსგან“ ინფორმაციის გამოთხოვა ხდება საქართველოს მთავრობასა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს (IBRD) შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების საფუძველზე, ,,საქართველოს ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემების“ პროექტის (შემდგომში - „პროექტი“) ფარგლებში, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ (შემდგომში – „მონაცემთა ბაზა“) რეგისტრირებულ ოჯახებზე გარკვეული შეღავათის გავრცელების მიზნით.

2. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია „სააგენტოს“ მიერ „ინოვაციების სააგენტოსთვის“ ქალაქ თბილისის გარდა, საქართველოს ტერიტორიაზე, „მონაცემთა ბაზაში” რეგისტრირებული იმ პირის (შემდგომში - „მონაცემთა სუბიექტი“) შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რომლის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი პირობითი ერთეული (შემდგომში - „სარეიტინგო ქულა“) არ აღემატება 100 000 ერთეულს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია, რომელსაც „სააგენტო“ უგზავნის „ინოვაციების სააგენტოს“ უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) ოჯახის საიდენტიფიკაციო ნომერი;
ბ) ოჯახის ფაქტიური საცხოვრებელი მისამართი:
ბ.ა.) რეგიონი;
ბ.ბ.) რაიონი;
ბ.გ.) ქალაქი;
ბ.დ.) საკრებულო/თემი;
ბ.ე.) სოფელი;
ბ.ვ.) სრული მისამართი
გ) „მონაცემთა სუბიექტის" პირადი ნომერი;
დ) „მონაცემთა სუბიექტის" სახელი;
ე) „მონაცემთა სუბიექტის" გვარი.

4. „ინოვაციების სააგენტოსთვის" ამ მუხლით გათვალისწინებული მონაცემების მიწოდება ხორციელდება ამ ხელშეკრულების N1 დანართით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

5. ამ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია „ინოვაციების სააგენტოსთვის" ხელმოსაწვდომი იქნება უწყვეტად, გარდა 00:00 საათიდან- 08:00 საათამდე პერიოდისა.

მუხლი 2. კავშირის უზრუნველყოფა

1. „ინოვაციის სააგენტოსათვის" ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება „სამინისტროს" და „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს" ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის/ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ მის გამართულ მუშაობასა და შეუფერხებლად გამოყენებას.

2. ინფორმაციის მისაწოდებლად მხარეთა შორის კავშირი მყარდება დახურული კერძო ქსელის (VPN) საშუალებით, რომელიც აიგება ინტერნეტ სერვისის პროვაიდერის საკომუნიკაციო არხების გამოყენებით. დახურული კერძო ქსელის აგებისას გამოყენებული ქსელური მოწყობილობა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:
ა) მარშრუტიზაციისა და IPSec Tunnel ტექნოლოგიის მხარდაჭერა;
ბ) შიფრაციის პროტოკოლის 3DES მხარდაჭერა;
გ) ჰეშირების პროტოკოლის SHA მხარდაჭერა.

3. წინამდებარე ხელშეკრულების ამოქმედებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში „სამინისტროს" და „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს", ასევე „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს" და „ინოვაციების სააგენტოს" უფლებამოსილი წარმომადგენლები ერთობლივად უზრუნველყოფენ დახურული კერძო ქსელის (VPN) კონფიგურირებას (გამართვას).

მუხლი 3. ინფორმაციის გამოთხოვის პროცედურა

1. „ინოვაციების სააგენტოს" მოთხოვნა უნდა შეიცავდეს „მონაცემთა სუბიექტის" პირად ნომერს და „მონაცემთა სუბიექტის" ოჯახის საიდენტიფიკაციო ნომერს.

2. „სააგენტო", ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდებას (დაბრუნებას) „ინოვაციების სააგენტოსთვის" უზრუნველყოფს მყისიერად (დროის რეალურ რეჟიმში) და უწყვეტად, გარდა 00:00 საათიდან- 08:00 საათამდე პერიოდისა.

3. „სააგენტო" პასუხისმგებელია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით, მხოლოდ ინფორმაციის გაცემის მომენტისათვის (ინფორმაციის გაცემის თარიღი) „ბაზაში" დაფიქსირებული მონაცემების სისწორეზე.

მუხლი 4. მხარეთა კომუნიკაციის პირობები

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკითხებზე „მხარეები“ ერთმანეთის ინფორმირებას ახდენენ მათ მიერ განსაზღვრული, უფლებამოსილი პირების მეშვეობით, წერილობითი ფორმით, ელექტრონული ფოსტით ან/და სატელეფონო კომუნიკაციის გზით.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. **„ინოვაციების სააგენტო“ უფლებამოსილია** გამოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია, არაერთჯერადად, მის მიერ განხორციელებული „პროექტი“ ფარგლებში „მონაცემთა სუბიექტის“ მიმართ გარკვეული შეღავათების/სერვისების გასავრცელებლად.

2. **„ინოვაციების სააგენტო“ ვალდებულია:**

ა) არ დაუშვას „სააგენტოსაგან“ მიღებულ ინფორმაციაზე მესამე პირთა დაშვება (წვდომა), „სააგენტოსგან“ მიღებული ინფორმაციის მესამე პირებისათვის გადაცემა, გადაცემის მიზნით დამუშავება/სისტემატიზაცია ან/და სხვაგვარი ხელმისაწვდომობა, კოპირება/შენახვა, (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა), როგორც ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ისე მისი ვადის გასვლის შემდგომ;

ბ) უზრუნველყოს „სააგენტოს“ მიერ ადმინისტრირებადი „ბაზიდან“ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით ინფორმაციის გამოთხოვა მხოლოდ საკუთარი უფლებამოსილებების განსახორციელებლად, მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნისთვის და იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია ამ კანონიერი მიზნის მისაღწევად, წინააღმდეგ შემთხვევაში, სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მას;

გ) გამოთხოვილი მონაცემების დაცვის მიზნით, მიიღოს უსაფრთხოების შესაბამისი ზომები მათი არასანქცირებული ან/და შემთხვევითი დარღვევის, დაკარგვის, არასანქცირებული შეღწევის, შეცვლის ან/და გავრცელების წინააღმდეგ, ასევე, არ დაუშვას მათი გამოყენება კანონიერ მიზნებთან (კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ მიზნებთან) შეუთავსებელი მიზნით;

დ) აცნობოს „სააგენტოს“ იმ საკანონმდებლო და/ან ადმინისტრაციულ/ორგანიზაციული ცვლილებების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ ხელშეკრულების პირობებზე, ცვლიან ხელშეკრულების საგანს და/ან მიზნებს, ცვლილების ამოქმედებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;

ე) ხელშეკრულების ფარგლებში, აღრიცხოს პირველი მუხლით გათვალისწინებული სერვისით სარგებლობის შესახებ ინფორმაცია, სააგენტოსგან მიღებული „მონაცემთა სუბიექტის“ რეკვიზიტების, „პროგრამის“ ფარგლებში, პორტალზე მათი მხრიდან გამოხატული თანხმობის (მონაცემთა სუბიექტის თანხმობა), სერვისით სარგებლობის თარიღის/დროის მიხედვით. ამ პუნქტის შესაბამისად აღრიცხული ინფორმაცია „ინოვაციების სააგენტოში“ უნდა ინახებოდეს არანაკლებ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში;

ვ) მიაწოდოს „სააგენტოს“ ამ მუხლის „ე“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით აღრიცხული ინფორმაცია, მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

3. **„სააგენტო“ უფლებამოსილია:**

ა) „ინოვაციების სააგენტოსგან“ მიიღოს ინფორმაცია იმ საკანონმდებლო და/ან ადმინისტრაციულ/ორგანიზაციული ცვლილებების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ ხელშეკრულების პირობებზე, ცვლიან ხელშეკრულების საგანს და/ან მიზნებს, ცვლილების ამოქმედებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;

ბ) „ინოვაციების სააგენტოსგან“ მიიღოს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

4. **„სააგენტო“ ვალდებულია:**

ა) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით, სათანადო მოთხოვნის მიღებიდან მყისიერად (დროის რეალურ რეჟიმში), მიაწოდოს „ინოვაციების სააგენტოს“ ინფორმაციის გაცემის მომენტისათვის (მონაცემების მოთხოვნის თარიღი) „მონაცემთა ბაზებში“ დაფიქსირებული მონაცემები;

ბ) აცნობოს „ინოვაციების სააგენტოს“ იმ საკანონმდებლო და/ან ადმინისტრაციულ/ორგანიზაციული ცვლილებების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ ხელშეკრულების პირობებზე, ცვლიან ხელშეკრულების საგანს და/ან მიზნებს, ცვლილების ამოქმედებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

5. **„სამინისტრო“ უფლებამოსილია** მოითხოვოს მხარეებისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაცვა.

6. **„სამინისტრო“ ვალდებულია** უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები, საკუთარი ინფრასტრუქტურის გამართული მუშაობა და შეუფერხებლად გამოყენება.

7. **„მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ უფლებამოსილია** მოითხოვოს მხარეებისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაცვა.

8. **„მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ ვალდებულია** უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები, საკუთარი ინფრასტრუქტურის გამართული მუშაობა და შეუფერხებლად გამოყენება.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტის წესი

1. მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული, მათ შორის, ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე, საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორსმაჟორის გამომწვევ გარემოებათა დასრულებამდე

2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება, 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, აცნობებს ხელშეკრულების სხვა მონაწილეებს ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზებს და მათი შესრულების მოსალოდნელ თარიღს, რის შემდეგაც, ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეიძლება გადაიდოს ფორსმაჟორის გაგრძელების ვადით ან ხელშეკრულება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, შეწყვეტა და მასში ცვლილებები

1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 ივნისის ჩათვლით.

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლამდე „ინოვაციების სააგენტო“ წერილობით არ გამოთქვამს დანარჩენ მხარეებთან ხელშეკრულების გაგრძელების სურვილს, ეს ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება. ამ პუნქტით გათვალისწინებული

პირობა მოქმედებს ხელშეკრულების ყოველი მომდევნო 1 (ერთი) წლიანი მოქმედების ვადის განმავლობაში.

3. წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია ასევე, ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, უპირობოდ, ნებისმიერ დროს, ხელშეკრულების დანარჩენ მხარეთათვის, შეწყვეტამდე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე, წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. აღნიშნული ვადის გასვლისთანავე, ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად.

4. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა დასაშვებია მხარეთა ერთობლივი წერილობითი შეთანხმებით. ხელშეკრულების მხარეები უფლებამოსილნი არიან, მოითხოვონ ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.

5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 4 (ოთხი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითოეულ მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

6. დანართი N1 წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 9. მხარეთა რეკვიზიტები

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. N144
საიდენტიფიკაციო კოდი : 211333957

ზაზა სოფრომაძე
მინისტრის მოადგილე

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. N144
საიდენტიფიკაციო კოდი: 202178927

კობა სონღულაშვილი
დირექტორის მოადგილე

სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო
ქ. თბილისი, ინოვაციების ქ.17
საიდენტიფიკაციო კოდი 204582521

გიორგი ზვიადაძე
თავმჯდომარე

სსიპ-მონაცემთა გაცვლის სააგენტო
ქ.თბილისი, წმინდა ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის N2
საიდენტიფიკაციო კოდი: 204577699

ნიკოლოზ გაგნიძე
თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი

დანართი 1

„სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზასთან“ ელექტრონული ურთიერთობის პროტოკოლი

სერვისი და სერვისის ოპერაციები :

ინფორმაცია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან

სერვისის პარამეტრები:

- პიროვნების პირადი ნომერი;
- ოჯახის 12 ნიშნა კოდი;
- მომხარებლის სახელი;
- მომხმარებლის პაროლი;

სერვისის გამოძახება

სერვისის გამოძახება შესაძლებელია Request.xml:

Request.xml

```
<?xml version="1.0" encoding="utf-8"?>
<GovTalkMessage xmlns="http://www.govtalk.gov.uk/CM/envelope">
  <EnvelopeVersion>2.0</EnvelopeVersion>
  <Header>
    <MessageDetails>
      <Class>MOH_SSA_GetFamilyInRangeAddrDet</Class>
      <Qualifier>request</Qualifier>
      <Function>submit</Function>
      <CorrelationID>cor</CorrelationID>
    </MessageDetails>
    <SenderDetails>
      <IDAuthentication>
        <SenderID>DEA</SenderID>
        <Authentication>
          <Method>clear</Method>
          <Value>G3_USER_TEST</Value>
        </Authentication>
      </IDAuthentication>
      <EmailAddress>nomail</EmailAddress>
    </SenderDetails>
  </Header>
  <Body>
    <Message xmlns="urn:g3.ge:moh:call:MOH_SSA_GetFamilyInRangeAddrDet:v1">
      <PrivateNumber>PrivateNumber</PrivateNumber>
      <FamilyNumber>FamilyNumber</FamilyNumber>
      <UserName>userName</UserName>
      <Password> password </Password>
    </Message>
  </Body>
</GovTalkMessage>
```

Response.xml

```
<?xml version="1.0" encoding="utf-8"?>
<GovTalkMessage xmlns="http://www.govtalk.gov.uk/CM/envelope">
  <EnvelopeVersion>2.0</EnvelopeVersion>
  <Header>
    <MessageDetails>
      <Class>MOH_SSA_GetFamilyInRangeAddrDet</Class>
      <Qualifier>response</Qualifier>
      <Function>submit</Function>
      <CorrelationID>cor</CorrelationID>
      <GatewayTimestamp> Gateway Timestamp </GatewayTimestamp>
    </MessageDetails>
    <SenderDetails>
      <IDAuthentication>
        <SenderID />
      </IDAuthentication>
    </SenderDetails>
  </Header>
  <Body>
    <GetFamilyInRangeWithAddrDetResultEntity xmlns:xsi="http://www.w3.org/2001/XMLSchema-
instance" xmlns:xsd="http://www.w3.org/2001/XMLSchema"
xmlns="urn:g3.ge:moh:call:MOH_SSA_GetFamilyInRangeAddrDet:v1">
```

```
    <ResultStatus>
      <StatusCode> Status Code </StatusCode>
      <StatusDescription> Status Description </StatusDescription>
    </ResultStatus>
    <Region> Region Name </Region>
    <District> District Name </District>
    <City> City </City>
    <Government> Government </Government>
    <Village> Village </Village>
    <FullAddress> Full Address </FullAddress>
    <PrivateNumber> Private Number </PrivateNumber>
    <FirstName> Firs tName </FirstName>
    <LastName> Last Name </LastName>
    <FamilyNumber> Family Number </FamilyNumber>
  </GetFamilyInRangeWithAddrDetResultEntity>
 </Body>
</GovTalkMessage>
```

მოძებნის შემთხვევაში **Response.xml** `<Body></Body>` მოთავსებულია სერიალიზირებული `GetFamilyInRangeWithAddrDetResultEntity` კლასი (იხ. ქვემოთ)

მოთხოვნის პასუხის მნიშვნელობები მოცემული ცხრილი #1

ოპერაციის გამოძახების შემთხვევაში შეცდომის ან Exception შემთხვევაში ბრუნდება შემდეგი სახის XML:

```
<?xml version="1.0" encoding="utf-8"?><GovTalkMessage
xmlns="http://www.govtalk.gov.uk/CM/envelope">
  <EnvelopeVersion>2.0</EnvelopeVersion>
  <Header>
    <MessageDetails>
      <Class>Transaction_Name</Class>
      <Qualifier>error</Qualifier>
      <Function>submit</Function>
      <CorrelationID></CorrelationID>
      <ResponseEndPoint PollInterval="0" />
      <GatewayTimestamp></GatewayTimestamp>
    </MessageDetails>
    <SenderDetails>
      <IDAuthentication>
        <SenderID />
      </IDAuthentication>
    </SenderDetails>
  </Header>
  <Body>
    <Message>
      //Error data hare
    </Message>
  </Body>
</GovTalkMessage>
```

`GetFamilyInRangeWithAddrDetResultEntity` **კლასის აღწერა**

```
/// <summary>
/// მოთხოვნის პასუხის სტატუსი
/// </summary>
public class ResultStatus
{
    int StatusCode{ get; set; };                // სტატუსი კოდი
```

```
        string StatusDescription{ get; set; };     // სტატუსის განმარტება
    }

    /// <summary>
    /// ოჯახის წევრის პირადი ინფორმაცია ოჯახის წევრის პირადი ნომრით და ოჯახის საიდენტიფიკაციო
            კოდით, მისამართი დეტალურად სოციალურად დაუცველთა ერთიან მონაცემთა ბაზაში
    /// </summary>

public class GetFamilyInRangeWithAddrDetResultEntity
    {
        public ResultStatus ResultStatus   // მოთხოვნის პასუხის სტატუსი
        public string Region               // რეგიონის დასახელება
        public string District             // რაიონის დასახელება
        public string City                 // ქალაქი
        public string Government           // საკრებულო/დაბა/თემი
        public string Village              // სოფელი
        public string FullAddress          // ოჯახის რეგისტრაციის სრული მისამართი

        public string PrivateNumber        // პირადი ნომერი
        public string FirstName            // სახელი
        public string LastName             // გვარი
        public string FamilyNumber         // ოჯახის საიდენტიფიკაციო კოდი
    }
```

ცხრილი #1: სტატუსის კოდები და განმარტება

პასუხის კვალიფიცირება	StatusCode	StatusDescription
შეცდომა	-1	Wrong username/password
შეცდომა	-1	because of technical gap, it is impossible to search information
შეცდომა	-1	სისტემის შეცდომა (Exception)
	0	Not found or Access Danied on this Region/District or Family Score Range
	1	Operation success